

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება №01-10/5

2016 წლის 4 მარტი

ქ. თბილისი

„პერინატალური სამსახურების რეგიონალიზაციის დონეებისა და პაციენტის რეფერალის კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 15 იანვრის №01-2/5 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1
„პერინატალური სამსახურების რეგიონალიზაციის დონეებისა და პაციენტის რეფერალის კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 15 იანვრის №01-2/5 ბრძანებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. ბრძანების:

ა) მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს 2¹ პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„2¹. 2016 წლის განმავლობაში პერინატალური სამსახურებისთვის რეგიონალიზაციის დონეების მინიჭება და შესაბამისი რეფერალის სქემის უზრუნველყოფა განხორციელდეს ქვემო ქართლის რეგიონში, ასევე ქ. თბილისის „დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში „მაღალი რისკის ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა მკურნალობა“ მომსახურების მიმწოდებელ დაწესებულებებში.“;

ბ) მე-3 პუნქტის შემდეგ დაემატოს 3¹ პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„3¹. პერინატალური სამსახურების რეგიონალიზაციის პროექტი განხორციელდეს ეტაპობრივად, ქვეყნის მასშტაბით, საკოორდინაციო ჯგუფის მიერ განსაზღვრული გეგმის შესაბამისად.“;

გ) მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. პერინატალური რეგიონალიზაციის პროცესის მიმდინარეობაზე მონიტორინგს ახორციელებს საკოორდინაციო ჯგუფი.“;

დ) მე-8 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 8¹ პუნქტი:

„8¹. რეგიონალიზაციის პილოტური პროექტის ფარგლებში პერინატალური სერვისის მიმწოდებელი ყველა დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს დონის შესაბამისი მომსახურების მიწოდება და განახორციელოს ანგარიშგება მონიტორინგის ფორმის შესაბამისად კანონმდებლობით დადგენილი წესით.“.

2. ბრძანებით დამტკიცებული №1 დანართის (პერინატალური სამსახურების რეგიონალიზაციის დონეები და პაციენტის რეფერალის კრიტერიუმები) მე-8 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დედათა მოვლის სუბსპეციალიზებული (III) დონე უზრუნველყოფს ორსულობისა და მშობიარობის მძიმე გართულებების ინტერდისციპლინური მართვისათვის მაღალსპეციალიზებული სამედიცინო მომსახურების მიწოდებას, ასევე სამედიცინო მოვლას როგორც ფიზიოლოგიური, ასევე რისკის მქონე ორსულობისა და მშობიარობის შემთხვევაში, მათ შორის რეფერირებული პაციენტების მართვას. აღნიშნული სერვისის მიმწოდებელ დაწესებულებებს უნდა გააჩნდეთ ინტენსიური მოვლისა და კრიტიკული მდგომარეობების მართვის ერთეული და მძლავრი ლაბორატორიულ-დიაგნოსტიკური შესაძლებლობები, ასევე, თერაპიული და ქირურგიული პროფილის სპეციალისტებზე ხელმისაწვდომობა.“.

2. სუბსპეციალიზებული (III) დონის ნეონატალური მოვლა უზრუნველყოფს ინტენსიური/კრიტიკული ნეონატალური სერვისის მიწოდებას, მათ შორის რეფერირებული პაციენტების მართვას. ამ დონეზე უნდა განხორციელდეს ყველა იმ ახალშობილის სამედიცინო მომსახურება, რომელსაც ესაჭიროება ინტენსიური/კრიტიკული მოვლა, ან აქვს ძალზე მცირე მასა (<1500 გ) და/ან დაბალი გესტაციური ასაკი (<34 კვირა).“.

3. ბრძანების №1.1 დანართის (პაციენტის რეფერალის კრიტერიუმები) პირველი მუხლის მე-3 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ბ.კ“ ქვეპუნქტი:

„ბ.კ) 2 და მეტი გადატანილი საკეისრო კვეთა ანამნეზში.“.

4. ბრძანების №1.2 დანართის (სპეციალიზებული მოვლის (II) დონის სერვისის მიმწოდებელი დაწესებულებების საქმიანობის მოცულობა და მათ მიმართ წაყენებული მოთხოვნები) მე-2 მუხლის მე-2



პუნქტის „ბ.ვ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.
მუხლი 2
ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრი

დავით სერგეენკო

